28/02/2025

MES 4 25 0000411240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:09 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
სხდომის მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. დავით ტეფნაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
11. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ქეთევან ნანობაშვილი – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ნინო სარჯველაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპსქართულ-ამერიკულიუნივერსიტეტი:

1.ზაზა რუხაძე - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი
2. თეიმურაზ ტორონჯაძე - ბიზნესის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი
3. ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
4. თამაზ უზუნაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი:
1. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. დიმიტრი კობახიძე - ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის (საბაკალავრო) და ჯანდაცვის მენეჯმენტის (სამაგისტრო) პროგრამების ხელმძღვანელი
3. ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
4. ალექსანდრე ლოლაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
5. გიორგი კუტიბაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში
1. ლევან გურგენიძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. ნინო ლობჟანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში)

3. თეიმურაზ ფარცხალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში)
4. გიორგი როსტიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში)
5. თამარ კეკენაძე - პროგრამის ხელმძღვანელი (ინგლსურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - საჯარო პოლიტიკა და მმართველობა)
6. სოფიო მშვიდობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
7. ანი დემეტრაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანეილი
8. სალომე კუბლაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი
9. ლაშა დავითაძე - აფილირებული აკადემიური პერსონალი
10. ლაშა აბაშიძე - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი
11. ლევან ხუციშვილი - კვლევების და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. კარსტენ ლორენცი (Karsten Lorenz) (I)
2. ნათია დაღელიშვილი (I);
3. ნანული ოქრუაშვილი (I);
4. სოფიო უგრეხელიძე (I);
5. სოფიკო გვრიტიშვილი (I);
6. ჟუზანნა სელესი (Zsuzsanna Széles) (II);
7. თამაზ უზუნაშვილი (II);
8. ირაკლი გაგუა (II);
9. გიგა ხოსიტაშვილი (II);
10. სოსო გაზდელიანი (II).
11. მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (III);
12. ეკა ლეკაშვილი (III);
13. თეა კასრაძე (III);
14. თამარ ბერიშვილი (III);
15. თამთა ცხოვრებაძე (III);
16. ია ბუცხრიკიძე (III)."

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - **თამარ ლომინაძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (240 კრედიტი), "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240

კრედიტი), "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) და ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ საჯარო პოლიტიკა და მმართველობის” სამაგისტრო, “ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში” და „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (240 კრედიტი), ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240 კრედიტი), "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) და ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში "საჯარო პოლიტიკა და მმართველობის” სამაგისტრო, “ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში” და „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (240 კრედიტი), ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240 კრედიტი), "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) და ”ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 180.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენ(ებ)ლს, იცნობდ(ნენ)ა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურ(ეს)ა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი სოფიო უგრეხელიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით ,,სრულად შესაბამისობაშია'' მოთხოვნებთან, პირველ სტანდარტთან მიმართებით -,,მეტწილად შესაბამისობაშია'' მოთხოვნებთან. ხოლო მეორე სტანდარტის გათვალისწინებით, შეფასებები გაიყო, ორი პროგრამა „სრულად შესაბამისობაშია" მოთხოვნებთან და დანარჩენი ორი - „მეტწილად შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან. გაცემული რეკომენდაციები დაკავშირებული იყო პროგრამების კურიკულუმის შინაარსობრივ მხარესთან, ერთ-ერთი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ხარისხის ნაწილს. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც რეკომენდაციების ნაწილს დაეთანხმა, ნაწილი არ გაიზიარა. სოფიო უგრეხელიძის

განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტები ფიქრობდნენ პროგრამის განვითარებაზე, მათ მეოთხე და მეშვიდე სტანდარტის რეკომენდაციების ფორმულირება შეცვალეს დაწესებულების პოზიციის გათვალისწინებით. ასევე, გაცემულია რჩევები პროგრამებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები გაცემულია როგორც კლასტერულად, ასევე ინდივიდუალურად თითოეულ პროგრამასთან მიმართებით. ინდივიდუალური რეკომენდაციები უკავშირდება ქართულენოვან პროგრამებში ქართულენოვანი ლიტერატურის რაოდენობის უფრო მეტად გაზრდას.
ექსპერტმა ნათია დაღელიშვილმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ძირითად რეკომენდაციებს. ხოლო ის რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული არ ყოფილა, დაწესებულებამ თავისი არგუმენტები ჩამოაყალიბა და ასევე გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.
პროგრამის ხელმძღვანელმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უმეტესი რეკომენდაციები გაიზიარა, თუმცა ისინი არ ეთანხმებოდნენ ორ საკითხს: ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაწილს და პრაქტიკის კურსის სავალდებულოდ ჩართვას პროგრამაში. მისი თქმით, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტების 80%-ზე მეტი უკვე დასაქმებულია საკმაოდ პრესტიჟულ კომპანიებში. გარდა ამისა, დასაქმებული სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით, ლექციები ტარდება საღამოს საათებში, შესაბამისად პრაქტიკული კურსის სავადებულობის შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ დასაქმებას. თამაზ უზუნაშვილის აზრით, სტუდენტებს პრაქტიკის კურსი უნივერსიტეტში არ სჭირდებათ, ვინაიდან უკვე აქვთ გამოცდილება პრაქტიკაში იქ, სადაც არიან დასაქმებულები. დაწესებულების პოზიციით უმჯობესია პრაქტიკა იყოს არჩევითი და თუ კი ამის სურვილი ექნებათ სტუდენტებს, ისარგებლებენ შეთავაზებული კურსით. რაც შეეხება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაწილს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა კონკრეტული კურსი ისწავლონ შედარებით რთული სახელმძღვანელოდან. დაწესებულების მიერ შესწავლილ იქნა, თუ რა კატეგორიის სტუდენტები შეძლებენ მოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურით კურსების გავლას. მან ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერ ევროპულ უნივერსიტეტში, სილაბუსებში მოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის სტანდარტული.
ქეთევან ჯინჭარაძემ, ინგლისური ენის წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამები ახალი არ არის და წინა პერიოდშიც გაირეს აკრედიტაცია. დაწესებულებისათვის პრიორიტეტულია ინგლისური ენის სწავლება და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს. მისი თქმით, სტუდენტის მიერ პროგრამის დაძლევისთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც ზოგადი, ისე პროფესიული ინგლისურის ცოდნა.
რაც შეეხებოდა ხარისხის ნაწილში გაცემულ რეკომენდაციას, ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ ხარისხის სამსახურის გაძლიერება მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის და ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა, აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციები არ უკავშირდებოდა პროგრამის შინაარსობრივ სიღრმეებს. ხარისხის სამსახური მუდმივად ცდილობს პროგრამების შემუშავებისას ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები. ქეთევან ჯინჭარაძემ გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან წინაპირობებთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულად რომელი საგნების საფუძველზე იყო შესაძლებელი სტუდენტის ჩარიცხვა მითითებულ პროგრამებზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტი იყო ინგლისური ენა. მან განმარტა, რომ ხოლო მათემატიკა არის არჩევითი, თუმცა მათემატიკის გარეშე პროგრამაზე სტუდენტის მიღების შანსი იყო ძალიან ცოტა.
საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ მან გადახედა პროგრამას და ისეთი კურსები, რომლებიც მოითხოვს მათემატიკის ცოდნას საკმაოდ მაღალ დონეზე, მისი აზრით, სასურველი იქნებოდა პროგრამაზე მისაღებ წინაპირობად მათემატიკა ყოფილიყო სავალდებულო შესაბამისი ბარიერის გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენლები, თამაზ უზუნაშვილი და ქეთევან ჯინჭარაძე დაეთანხმნენ ამ მოსაზებას და აღნიშნეს, რომ პროგრამაზე მისაღებად მათემატიკის სავალდებულოდ მითითება და ბარიერის დაწესება ხელს შეუწყობდა პროგრამას კონტიგენტის გაძლიერებაში.
გოჩა თუთბერიძეს ასევე კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, რამდენიმე სასწავლო კურსის წინაპირობებთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ,,მანქანური სწავლების'' და ,,პითონის/Phyton'' სასწავლო კურსების წინაპირობად საჭირო იყო თუ არა სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა'', პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ წინაპირობის მითითებით გაუმჯობესდებოდა სასწავლო კურსები.
საბჭოს წევრს ასევე კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ ,,კორპორაციის ფინანსების საფუძვლები'' და ,,საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები'' ისწავლებოდა ერთსა და იმავე სემესტრში, შესაბამისად მას აინტერესებდა, ხომ არ მიიჩნევდა დაწესებულება კურსების შინაარსიდან გამომდინარე, რომ ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები'' უნდა ყოფილიყო წინაპირობა ,,კორპორაციის ფინანსების საფუძვლებისა'' და ეს კურსები სტუდენტებისათვის შეთავაზებული ყოფილიყო სხვადასხვა სემესტრში. ასევე იგივე საკითხი იდგა ,,მარკეტინგის საფუძვლები'' და ,,მენეჯმენტის საფუძვლები'' მოცემულ შემთხვევაში ჯერ ისწავლებოდა პროგრამაში ,,მარკეტინგის საფუძვლები'' და შემდგომ ,,მენეჯმენტის საფუძვლები'' საბჭოს წევრს მიაჩნდა, რომ ეს მოცემულობაც გასასწორებელი იყო, ვინაიდან, როგორც წესი, ჯერ ისწავლება ,,მენეჯმენტის საფუძვლები''. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ შესაბამის ცვლილებებს განახორციელდებოდა პროგრამაში, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევისათვის.
ვასილ კიკუტაძე მიესალმა დაწესებულებას და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა 240 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ არჩევითი ბლოკები იყო გამოყოფილი და აინტერესებდა, როგორი პრინციპით ხდებოდა კურსის არჩევა, მაგალითად, ფინანსების არჩევის შემთხვევაში ფინანსების მიმართულების გაძლიერება ხდებოდა სრულყოფილად, თუ შესაძლებელი იყო კურსების არჩევა მარკეტინგის ან მენეჯმენტის მიმართულებიდანაც.
პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ კურსების არჩევა შესაძლებელი იყო სხვადასხვა მიმართულებიდან როგორც წესი დაწესებულება აყალიბებდა ჯგუფებს არჩეული საგნების მიხედვით.
საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, მან აღნიშნა რომ, როგორც 180, ასევე 240 კრედიტიან პროგრამებში, როგორც პრაქტიკა, ასევე საბაკალავრო ნაშრომი იყო არჩევითი. მას აინტერესებდა, პროგრამის რა კომპონენტს მოიაზრებდა დაწესებულება განმამტკიცებელ კომპონენტად, რომელიც უნდა იყოს სავალდებულო კურსი, სადაც მოხდებოდა სწავლის შედეგების განმტკიცება და შემდგომ მათი შედეგის შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშა, რომ იყო განმტკიცება ხდებოდა მაღალ კურსებზე, ეს ძირითადად ეხებოდა მეშვიდე და მერვე სემეტრებს, რომელშიც ასევე ჩაშენებული იყო პრაქტიკა. ძირითადად პრიორიტეტი ენიჭება სასწავლო კურსებს, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა, თავისუფლება, ავტონომია და კომპეტენცია შეფასებულიყო. ასევე აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო კურსის მონიტორინგი ხდებოდა ყოველსემესტრულად, ასევე ოთხი წლის შემდგომაც, იმისათვის რომ ზუსტად შეფასებულიყო სტუდენტი.

საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ 240 კრედიტიანი და 180 კრედიტიანი პროგრამები იდენტურია, გიორგი ღაღანიძეს აინტერესებდა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ორივე პროგრამაზე განახორციელებდა თუ არა დაწესებულება მიღებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სტუდენტები სწავლობენ უკვე 240 კრედიტიან პროგრამაზე, თუ კი სტუდენტი არ გამოთქვამს სურვილს გადავიდეს 180 კრედიტიან პროგრამაზე, დარჩება უკვე მიმდინარე პროგრამაზე, შესაბამისად 240 კრედიტიანი პროგრამა დარჩება 3-4 წელი, სანამ არ დაამთავრებენ სტუდენტები. თუმცა ასევე არის მეორე საკითხი, რომ თუ მიღება 240 კრედიტიან პროგრამაზე დაახლოებით იმდენი იყო რამდენიც 180 კრედიტიან პროგრამაზე, ამ შემთხვევაში დარჩება 240 კრედიტიანი პროგრამაც გათვალისწინებით ბაზრის მოთხოვნებისა.
ქეთევან ჯინჭარაძემ დაამატა, რომ ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, გაჩნდა რისკები, რომლებიც გაითვალისწინა დაწესებულებამ, ისევ და ისევ სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, რომ თუ კი აქვს მოლოდინი სტუდენტს, რომ ის აბარებს 240 კრედიტიანზე და სურს იგი დაასრულოს, უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა, ასევე შესაძლებლობა ისწავლოს 180 კრედიტიან პროგრამაზეც. რაც შეეხება 180 კრედიტიან პროგრამას, ფაქტობრივად მოხდა სავალდებულო საგნების იდენტურობა და კონკრეტული მიმართულების არჩევითი საგნების ჩამოშორება 240 კრედიტიანი პროგრამისგან. აღსანიშნავია, რომ თუ 240 კრედიტიან პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ექნება სურვილი გადავიდეს 180 კრედიტიან პროგრამაზე, ის თავისუფლად შეძლებს შიდა მობილობის გამოცხადების შემდეგ.
საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ დააზუსტა, რომ დაწესებულებას სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი იდენტური პროგრამა, ორი ინგლისურენოვანი და ორი ქართულენოვანი, თავისი მიზნებითა და შედეგებით.
ექსპერტმა სოფიო უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია იყო მოცემულ ეტაპზე პროგრამებთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის გაღება, ხოლო შემდგომ ბაზრის მოთხოვნებიდან გამოდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში გადაწყვეტდა დაწესებულება რომელი პროგრამის შენარჩუნება მოხდებოდა. ასევე საგულისხმოა, რომ წელს პირველად განხორციელდა მობილობის პროცესი, სადაც სამწლიანმა პროგრამებმა მიიღეს მონაწილეობა და პირველად სტატისტიკის მიხედვით, არ ჩანდა შედეგი იმისა, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ასევე დროის სიმცირე სამწლიანი პროგრამებისა, განსაკუთრებით ხიბლავს სტუდენტებს. ასევე განაცხადა, რომ 240 კრედიტიან პროგრამებთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოთხოვნა იყო. შესაბამისად, ორივე მიმართულებას ჰყავდა თავიანთი მსურველი და ეს პროცესი საჭიროებდა დროში დაკვირვებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილ ორ ინგლისურენოვან და ორ ქართულენოვან პროგრამაზე, ბაზრის მოთხოვნა სხვადასხვანაირი იყო, სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. ინგლისურენოვან პროგრამებთან დაკავშირებით ძალიან ბევრია დაკვეთა უცხოელი სტუდენტების მხრიდან. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ განხორციელდეს ორივე პროგრამა, შესაბამისად ადამიანური რესურსი დაწესებულებას მოცემული პროგრამებისთვის სრულად ჰქონდა.
ექსპერტმა ნათია დაღელიშვილმა პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაუსაქმებელი სტუდენტების იმ მცირე რაოდენობის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროა პრაქტიკის კომპონენტის სავალდებულობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია ამ კუთხით, უკვე შესრულებულია და შესწორებულია რუკა, ვინაიდან განმტკიცება ხდება სავალდებულო კურსებით. რაც შეეხება პრაქტიკას, მიაჩნია რომ რადგან პრაქტიკის ნაწილი ჩაშენებულია არჩევითი სასწავლო კურსებში, სტუდენტებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ არჩევა შესაბამისი კურსებისა ან თავად პრაქტიკისა.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ნაწილში იგი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, და აღნიშნა, რომ სტუდენტი, რომელიც მუშაობს, დამატებით დაწესებულებამ დაავალდებულოს პრაქტიკის გავლა, ეს არ იქნებოდა სწორი, შესაბამისად აღნიშნა, რომ სასურველია პრაქტიკა იყოს სავალდებულო და მითითება გაკეთდეს, რომ ვინც მუშაობს იმას ეთვლება პრაქტიკის კომპონენტი გავლილად.
ექსპერტმა ნანა ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ვერცერთი საგანი ვერ უზრუნველყოფდა ოთხი წლის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებად გარდაქმნის შესაძლებლობას, ისე როგორც პრაქტიკის კომპონენტი. რაც შეეხება 2.3. სტანდარტთან დაკავშირებით სწავლის რესურსებთან ენობრივი კომპეტენციის საკითხს, აღნიშნა, რომ ის ბარიერი რაც აქვს დაწესებულებას, როგორც არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავენ შესაძლებლობას ყველა სტუდენტისათვის, რომ მათ შეძლონ პროგრამის ათვისება, უცხო ენის კონპონენტის ნაწილში, იყო მიუღებელი. ვინაიდან, აღნიშნა, რომ მისაღებ გამოცდებზე ბარდებოდა ,,B1'', ხოლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო იყო ,,B2'' დონე, შესაბამისად საწყის კურსებზე, მაშინ, როდესაც ნათლად არ იყო გამოხატული შესაბამისი დონის ცოდნა სტუდენტის მიერ, სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო სავალდებულო ლიტერატურად ქართულენოვანი და არა ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
საბჭოს წევრმა ციური დურულმა აღნიშნა, რომ საწყის კურსებში მითითებულია როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც შეეხება მაღალ კურსებში, იქ ინგლისური ენის კომპტენციის საკითხი ეჭვქვეშ არ დამდგარა. შესაბამისად გაუგებარია ექსპერტების პოზიცია ამ ნაწილში, ასევე აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის ზღვარი აწეული აქვს დაწესებულებას.
ექსპერტმა სოფო უგრეხელიძემ დაამატა, რომ ინტერვიუები მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე, ასევე პერსონალი ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებში თითქმის ერთი და იგივე იყო, ამას გარდა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის კომპეტენცია არ დამდგარა ეჭვქვეშ და პერსონალი ფლობდა ინგლისურ ენას, შესაბამისად, მისი აზრით, დაუძლეველ პრობლემას არ წარმოადგენს ინგლისურენოვანი ლიტერატურის სავალდებულოდ მითითება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11 დასრულების დრო: 16:02

პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (240 კრედიტი), საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრი სშედეგი:
მომხრე - 14
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 4: "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა;
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
მოწინააღმდეგე - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში გამოცხადების დღიდან. აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა საბჭომ და მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შევიდა გადაწყვეტილებების გამოცხადების დღიდან.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება:
დაწყების დრო - 16:05
დასრულების დრო - 16:15

მეორე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინა პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი ჟუზანნა სელესი (Zsuzsanna Széles) მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ კლასტერი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. რაც თანამშრომლების შეფასების ანგარიშების და ასევე, ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა. მან აღნიშნა, რომ კლასტერისთვის განსაზღვრულია მკაფიო მიზნები, ცოდნა და კომპეტენციები რაც გადაეცემა კურსდამთავრებულებს. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ასევე, წარმოდგენილი პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. შრომის ბაზრის მოთხოვნების და განათლების საჭიროებების თვალსაზრისით პროცესში ჩართულები არიან თანამშრომლები კურსდამთავრებულები და სტუდენტები. საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების შესაფასებლად შექმნილია სისტემური ჩარჩო. მთელი პროგრამის სასიცოცხლო ციკლში ინტეგრირებულია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები. ორივე საგანმანთლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი

კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების მქონე პირთა მიერ, შესაბამისი განათლების დონეების მიხედვით. პროგრამები შემუშავებულია და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპის კრედიტების ტრანსფერის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით, ასევე სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. სტუდენტებისთის წინასწარ არის ცნობილი საგნობრივი სილაბუსები, შეფასებები, აქტივობები და ყველა საჭირო ინფორმაცია. შეფასების პროცესი გამჭირვალეა და აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნას. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციები, განათლება, სამეცნიერო ცოდნა და გამოცდილება შესაბამისობაშია. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები და სამუშო დატვირთვა შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს იმ სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის მიხედვით. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის ფორმირებასა და განვითარებაში, ასევე უზრუნველყოფენ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის დანერგვისათვის და სტუდენტებისთვის საჭირო კონსულტირებისთვის.

ინტერვიუების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის შემუშავების პროცესში. ეს მიდგომა ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები კურიკულუმის განვითარებასთან, სწავლის მეთოდებთან და რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით არის შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ აღებულ კურსთან. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად უზრუნველყოფს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შეფასების პროცესში ჩართვას. სტუდენტები რეგულარულად აწვდიან ხარისხის სამსახურს უკუკავშირს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე ადმინისტრაციულ სერვისებთან დაკავშირებით, რომლითაც ისინი სარგებლობენ.

კლასტერთან დაკავშირებით გაცემული იყო ზოგადი რეკომენდაციები, ასევე გაცემული იყო ინდივიდუალური რეკომენდაციები პროგრამებთან დაკავშირებთ. "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ იქნა ორი რეკომენდაცია, „მაკროეკონომიკის“ და „ფინანსური საფუძვლების სასწავლო კურსები შეიცავს მოძველებულ ლიტერატურას და საჭიროებს განახლებას რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, „ფინანსური მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამები იყენებს ერთი და იმავე ლიტერატურას - „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, რაც ბადებს კითხვას. თუ რა განსხვავებაა მაშინ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებს შორის. შესაბამისად, რეკომენდებულია განსხვავებული ლიტერატურის გამოყენება რომლებიც შესაბამისი იქნება საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დონესთან. სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო ოთხი რეკომენდაცია, კერძოდ, „რეკომენდებული ა განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი; ადამიანური კაპიტალის მართვა; მარკეტინგის მენეჯმენტი; კორპორაციული მართვა; ბიზნეს კომუნიკაციები“, რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რეკომენდებულია ჯანდა ცვის ობიექტების კურსს გადაერქვას სახელწოდება, ვინაიდან იგი არ შეიცავდა იმ შინაარსს, რაც სახელწოდებაში იყო მითითებული. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას დ წყაროების მრავალფეროვნებას. ასევე რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასების ფორმა. კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები: კერძოდ, ,,რეკომენდებულია , რომ უნივერსიტეტმა შემოიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ რომ გაიზარდოს სტუდენტთა ჩარიცხვა და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამების მდგრადობა''. მეორე რეკომენდაცია, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მეტი შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა გაძლიერდეს მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით

საერთაშორისო ჭრილში. შემდეგი რეკომენდაცია, ,,რეკომენდებულია შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისთვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმების შემუშავება"; რეკომენდებულია, რომ შუალედურ და საბოლოო გამოცდისთვის დავალებები იმგვარად იყოს შემუშვებული, რომ მათი მიზანი იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარება. შემდეგი, რეკომენდებულია, რომ გააქტიურდეს საერთაშოროსო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით. შემდგომ, რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, იმისთვის რომ ეფექტურად მუშაობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ბოლო რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგებს, რეკომენდებულია მათში ცვლილებების შეტანა, აქტიური ზმნების ჩართვა იმისათვის რომ მკაფიოდ განისაზღვროს ის ქმედებები რომლის განხორციელება სტუდენტებს უნდა შეეძლოთ.

ასევე გაცემული იყო რჩევები პროგრამასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ექსპერტმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ მათი არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდგომ ხუთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია. აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იყო საინტერესო და განმავითარებელი. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაიზიარა. აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო კურსში განახლდა ლიტერატურა რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე განახლდა რიგ კურსებში სასწავლო თემები. რეკომენდაცია იყო გაცემული, რომ სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამა არ შეიძლება იყოს წარმართული ერთი და იმავე ლიტერატურით. ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სამაგისტრო პროგრამაში ,,სამედიცინო ობიექტების ფინანსური მეჯემენტი'' სახელწოდება შეცვლილიყო. აღნიშნა, რომ მათ არ შეცვალეს სახელწოდება, თუმცა დაამატეს ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის 2020 წლის ახალი სახელმძღვანელო, ასევე სილაბუსების მიხედვით პირველ და მესამე კვირებში განხორციელდა თემების ცვლილება და ა.შ. საგულისხმოა, რომ ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ განახლებულია ყველა სილაბუსში ლიტერატურა, თუმცა აღნიშნული არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ თავებში არ იყო ცვლილება შეტანილი. მანანა ცერცვაძე აღნიშნავს, რომ თავებშიც ჩანაცვლებულია, არის თავები რომელიც თანხვედრაშია მოცემულ ლიტერატურასთან. აღნიშნა, რომ მეექვსე რეკომენდაციაზე დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი გაზიარებულ იქნა ექსპერტების მიერ და მადლობა გადაუხადა მათ ამისათვის. მეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით, მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ ნაწილს, ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების მრავალფეროვნებას, აღნიშნა რომ დაწესებულებამ გაიზიარა გაცემული რეკომენდაცია, მიმდინარე სემესტრში მოხდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვა და შესაბამისად, დაგეგმილია შეხვედრა სამაგისტრო ნაშორმის ხელმძღვნელებთან და სტუდენტებთან რომ გაცემული რეკომენდაციის შესრულებისათვის იყოს შესაბამისი ღონისძიებები განხორციელებული. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღავენელის შეფასების ფორმას, აღნიშნა რომ უნივერსიტეტში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. კითხვარები ჩაშენებულია სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემაში, ვინაიდან სამაგისტრო ნაშორმი არის ჩვეულებრივი სასწავლო კომპონენტი და არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი სასწავლო კურსისგან, მაგისტრატურის სტუდენტებსაც ისევე როგორც ყველა სხვა საფეხურის სტუდენტებს მისდით კითხვარი და აფასებენ კურსის განმახორციელებელ პერსონალს, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არ იყო მითითებული, სამაგისტრო

პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უკუკავშირს იღებს სტუდენტებისაგან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების შესახებ, გამოკითხვა იყო ანონიმური. გარდა ამისა, მეხუთე კვირას, იყო მცირე ხუთ კითხვიანი კითხვარი, რომელიც ასევე ჩაშენებული იყო საინფორმაციო სისტემაში, რომელიც აუცილებლად შესავსებია სტუდენტების მიერ და ამ მოცემულობითაც იღებდა უკუკავშირს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გასაუმჯობესებელ მხარეებისა და სტუდენტების სურვლების შესახებ. ასევე, საგულისხმოა, რომ 3.2. კომპონენტის გათვალისწინებით დაწესებულებას მოეთხოვება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების მექანიზმების ქონა და დაწესებულებას ეს მექანიზმი დანერგილი ჰქონდა. რაც შეეხება კლასტერს, აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას და გაზრდის სტუდენტების ჩარიცხის რაოდენობას. მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მცირერიცხოვანი ფაკულტეტია, თუმცა მისი პოპულარიზაციისთვის გადადგა დაწესებულებამ გარკვეული ნაბიჯები, გაწერილია სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელლიც კარგად მუშაობს, შემცირდა სწვალის გადასახადი, განახლდა ინფრასტრუქტურა, გაიზარდა ინვეტიცია, გაძლიერდა უნივერისტეტის საზოგადოებასთან ურთიერობის სამსახური და ა.შ. ასევე აღნიშნა, რომ 2.1. კომპონენტში მოთხოვნილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობდეს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, დაწესებულება მუშობდა თავისთავად ამ მიმართულებით. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ითვალსიწინებს სტუდენტების მეტ შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, აღნიშნა, რომ იზიარებდა გაცემულ რეკომენდაციას, არგუმენტირებული პოზიციის დროს გამორჩათ რომ მიეთითებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამეცნიერო დარგის პრორექტორი, დეკანატებთან ერთად ჩართულია, რომ სტუდენტები იყვნენ ინფორმირებულები, ასევე ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები. ასევე საგულისხმოა, რომ ფაკულტეტის სტუდენტი ახლახანს წარსდგა კონფერენციაზე, თემით: ,,სამედიცინო ტურიზმის რესურსების გამოყენების მენეჯმენტის ეფეტიანობა'' შესაბამისად აღნიშნა, რომ მექანიზმები არსებობს უნივერსიტეტში და იგი მუშაობს. ასევე ,,Erasmus+'' პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტი გაემგზავრა პოლონეთში სემესტრული გაცვლითი პროგრამით. მანამა ცერცვაძემ ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო ბაზების გამოყენების შესახებ გაცემული რეკომენდაციის ნაწილში ექსპერტებმა გაიზიარებს დაწესებულების პოზიცია და მადლობა გადაუხადა მათ ამისათვის. შემდგომი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა შეფასებას ინდივიდუალური კომპონენტებისათვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმების შემუშავებას, ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ გაიზიარეს აღნიშნული რეკომენდაცია და დაკორექტირებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და წარდგენის ინსტრუქცია, რომელიც გადაგზავნილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. რაც შეეხება რეკომენდაციას, შუალედურ და დასკვნით გამცდების დავალების საკითხების დაკორექტირების თაობაზე, აღნიშნა რომ მისაღები, გასაზიარებელი და განმავითარებელი იყო გაცემული რეკომენდაცია და იგი შესრულებულია მოცემული მომენტისათვის. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ გააქტიურდეს საერთაშორისო მობილობის სემესტრული გაცვლის საკითხები, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდი ყურადღებას აქცევდა ამ მიმართულებას და ყველა ინფორმაციას აწვდიდა სტუდეტებს და როგორც უკვე აღნიშნა, ერთი სტუდენტი უკვე გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა პოლონეთში. რაც შეეხება რეკომენდაციას, იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის თვითდაფინანსება და მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ინვესტიციები გაძლიერდა, განახლდა ინფრასტრუქტურა და ა.შ. ასევე უნივერსიტეტის ბიუჯეტი მდგრადია, ფაკულტეტების ხარჯზე და არა მხოლოდ, რადგან დაწესებულებას ჰქონდა საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა და სარეაბილიტაციო კლინიკა, შესაბამისად უნივერსიტეტის ფონდიდან შესაძლებელია ასევე ფაკულტეტის გაძლიერება. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართ

გაცემულ რეკომენდაციას აღნიშნა მანანა ცერცვაძემ, რომ დაწესებულებაში ტრადიცია იყო, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, ასევე უნივერსიტეტს ჰყავს და ძალიან ძლიერი თვითმმართველობა რომელიც ასევ ჩართულია ამ პროცესში, ასევე პოტენციური დამსაქმებლები, ასევე უნივერსიტეტს გააჩნია, რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში წილი, იგი არის აფილირებული კლინიკა დაწესებულებასთან, ასევე დაწესებულებას აქვს საკუთარი კლინიკები, სადაც ხდება პრაქტიკის განხორციელება. გარდა ამისა აღნიშნა, რომ ზაფხულში ცხადდება სტაჟირების მოკლევადიანი პროგრამა კლინიკაში, შესაბამისად ხდება სტუდენტების დასაქმება. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გუნდურად და ძალიან ყურადღებით მუშაობს ყველა რეკომენდაციაზე, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ სასარგებლო რჩევებია გაცემული პროგრამის გაუმჯობესებისათვის. ბოლო რეკომენდაცია, ,,გადაიხედოს სწავლის შედეგების აქტიური ზმნები, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრას სტუდენტების მიერ შესასრულებელ ქმედებს'', მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ კონკრეტული რეკომედაცია გაცემული იყო ,,ლიდერობის'' სილაბუსზე, სადაც მოხდა ჩასწორება და ექსერტებმა გაიზიარეს და მოხსენეს კონკრეტული რეკომენდაცია, თუმცა ახალი რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სხვა სასწავლო კურსებში დარჩა იგივე პრობლემა, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ყოფილიყო დაკონკრეტებული სილაბუსები აუცილებლად გაიზიარებდა დაწესებულება გაცემულ რეკომენდაციას, მათ აღნიშნეს, რომ გადახედეს სასწავლ კურსების სილაბუსებს, და მიაჩნიათ რომ აქტიური ზმნები გამოყენებულია, თუმცა გააგრძლებენ ამ კუთხით მუშობას და გამოასწორებენ თუ კი რაიმე ხარვეზს აღმოაჩენენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრს თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა ექსპრეტებთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, ვინაიდან გაცემული იყო რჩევა ამ მიმართულებით. მას აინტერესებდა რატომ იყო გაცემული რჩევა და არა რეკომენდაცია, ვინაიდან მიაჩნია რომ ეს საკითხი, შემდგომ პროგრამის განვითარებისთის მნიშვნელოვანია. ასევე, მოსაზრება გამოთქვა, აქტიური ზმნების წარმოდგენის საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციას, ვინაიდან მთელ რიგ სილაბუსებში გასაწერი იყო უფრო აქტიური ფორმით, რათა შედეგები იყოს უფრო შეფასებადი, ასევე აღნიშნა რომ გადასახედი და შესაცვლელი იყო სამაგისტრო ნაშორომის შეფასების სისტემა, რადგან მოცემული სისტემა უკვე იყო ძალადაკარგული და განათლების და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში იყო მოსაყვანი შეფასების საკითხი.

ექსპერტმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება რუქას, მიაჩნია რომ არასწორად იყო გაწერილი და დაწესებულების პოზიციის მიხედვით უკვე გასწორებული იყო და მხოლოდ ტექნიკურად იყო ჩასაბარებელი. სწორედ ამიტომ იყო იგი რჩევებში, რადგან კურსები პასუხობდნენ შედეგებს, თუმცა რუქაში არ იყო ნაჩვენები სწორად შედეგების განვითარება. ასევე ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა აქტიურ ზმნებთან დაკავშირებით დაამატა, რომ თითქმის ყველა სილაბუსში იყო მითითებული, რომ ,,სტუდენტს შეუძლია'' და ჩამოთვლილი იყო შესაძლებელობები, ამიტომაც იყო ექსპერტების რეკომენდაცია გაცემული.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა რომ კარგი რეკომენდაციები და რჩევები იყო გაცემული და დაწესებულებას ურჩია ყურადღებით მიდგომოდნენ მათ, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელება ,,ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის'' პროგრამა არც თუ ისე მთლად შეთავსებადი იყო. მას კითხვა ჰქონდა სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულებასთან, აღნიშნა რომ საბაკალავრო პროგრამაში, არც მიზნებში და არც სწავლის შედეგებში ჯანდაცვა არ იყო ნახსენები, ექსპერტები კი აღნიშნავენ რომ ,,პროგრამის მიზნები ითვალისწინებენ სწავლის სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს'', მას აინტერესებდა სად ჩანდა პროგრამის თავისებურებების გათვალისწინება.

ექსპერტმა თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ჩანაწერი გაჩნდა იმიტომ, რომ მთელი რიგი კურსები ეხებოდა სამედიცინო მენეჯმენტს, მაგ.: ჰოსპიტალური მენეჯმენტი, ასევე ფინანსური და ა.შ. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მთლიანობაში კურსები პასუხობდა კვალიფიკაციას.
გოჩა თუთბერიძემ დააზუსტა, რომ პროგრამა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა მენეჯმენტის ნაწილი არ ჩანდა არც სწავლის მიზნებში და არც სწავლის შედეგებში, შესაბამისად არ ჩანდა პროგრამის სპეციფიკა. ასევე აღნიშნა საბჭოს წევრმა, რომ დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა იყო სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. შესაბამისად, მიაჩნია რომ რჩევა ან რეკომენდაციია უნდა გაცემულიყო ამ მიმართულებით.
მანანა ცერცვაძემ მადლობა გადაუხადა კარგი რჩევისთვის საბჭოს წევრს, ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რომ დაინახეს მათ პროგრამაში ჯანდაცვის მიმართულებით რიგი კუსები. აღნიშნა რომ გაითვალისწინებს რჩევას და იმუშავებენ ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკა და მენეჯმენტი განსაზღვრული არ იყო კვალიფიკაციათა ჩარჩოში. მიაჩნია, რომ თუ კი პროგრამის დასახელებას არ აქვს პირდაპირი კავშირი კვალიფიკაციასთან, ეს არ იქნება სამომავლოდ სასურველი შედეგის მომტანი. ვინაიდან მიაჩნია, რომ სხვადასხვა საკითხია. ასევე აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტი გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამებისთვის. მით უფრო მაშინ როდესაც ენიჭება კურსდამთავრებულს, ბიზნეს ადმინისტირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს თანადობაში. ასევე აღნიშნა, რომ გაეცნო კურიკულუმს და სილაბუსებს და სწორედ იმიტომ, რომ წარმოდგენილი იყო ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა მენეჯმენტში, სავალდებულო ბლოკს უნდა დამატებულიყო სასწავლო კურსი ,,სტრატეგიული მენჯემენტი'', ვინაიდან ეს იყო დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნა. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის ,,სტრატეგიულ მენეჯმენტს'' მიაჩნია, რომ კურსის ლიტერატურა და შინაარსი, უნდა მოვიდეს სწავლის საფეხურთან შესაბამისობაში. დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ჩაინიშნა და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მოცემული საკითხები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:21
დასრულების დრო: 17:34

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე

მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა ცერცვაძემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში გამოცხადების დღიდან. აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა საბჭომ და მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა დღეიდან.

მესამე საკითხი: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში საჯარო პოლიტიკა და მმართველობის” სამაგისტრო, “ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში” და „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო პოლიტიკა და მმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი ფინანსებში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 70

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 70.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენ(ებ)ლს, იცნობდ(ნენ)ა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურ(ეს)ა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინა პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
საერთაშორისო ექსპერტი, ჯგუფის თავმჯდომარე, აბდულ რაუფმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია გაცემული იყო 1.1. სტანდარტთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, რომ უფრო მკაფიოდ იყოს ინტერნაციონალიზაციის ნაწილი და ასპექტი, პროგრამის მიზნებში, უფრო

კონკრეტულად საუბარია, აღმასრულებელი პროგრამის მიზნებზე. ზოგადად პროგრამებთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომდაცია, რომ უფრო კონკრეტულად იყოს მითითებული განვითარების კუთხით დატვირთვა. გარე დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მეტი კომუნიკაციისთვის სასურველია დაიხვეწოს ჩარჩო. ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით გაიწეროს მიღების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები, თანაფარდობა მოწვეული პროფესორების აკადემიურ პერსონალთან მიმართებით უნდა იყოს იმგვარი რომ მეტი ფოკუსი კეთდებოდეს აკდემიურ პერსონალზე. უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. კურსების დაბალანსებული განაწილების მიზნით რეკომენდებულია, ახალი პროფესიონალების დაქირავება. დოქტორის ხარისხის მქონე პირთა მიღების მეშვეობით გაიზრდოს აკადემიური თანამშომლების რესურსი და ამისათვის გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. რაც შეეხება კლასტერს და ინდივიდუალურ რეკომენდაციებს, მნიშვნელოვნად არის გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ, თუმცა არა სრულად, რაც ასახულია დასკვნის მეექვსე გვერდზე. საჯარო პოლიტიკის პროგრამასთან დაკავშირებთ გაცემულ იყო რეკომენდაცია, რომ მკაფიოდ იყოს ფორმულირებული თუ როოგრ უწყობს ხელს საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. მოხდეს კომპეტენცების და უნარების დაზუსტება სწავლის შედეგებთან მიმართებით. ასევე, მესამე მიზანი უფრო დაკონკრეტდეს, რომელიც უფრო კომპლექსურ როლს ითამაშებს პრაქტიკულ დონეზე. პროგრამის დონეზე შედეგების თვალსაზრისით ტექნიკური კომპეტენცების მხრივ უფრო მეტად დავიწროვდეს და მეტი ფოკუსი გაკეთდეს. ასევე უნდა გადაიხედოს სტანდარტული კრედიტების განაწილება და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსების მიხედვით. რეკომენდებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით პროგრამას დაემატოს პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი მინიმუმ ხუთი კრედიტის მოცულობით. რეკომენდებულია აკადემიური წერის და აკადემიური ინგლისურის კურსი გადატანილ იქნას არჩევითი საგნების კომპონენტიდან სავალდებულო საგნების კომპონენტში და სხვა სავალდებულო საგნებთან ერთად განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად. რეკომენდებულია საჯარო სამართლის სასწავლო კურსი, გადატანილ იქნას სავალდებულო კურსის კომპონენტში ვინაიდან საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საჯარო მოხელეების უფლებების, ვალდებულებებისა და სამართლებრივი მექანიზმების ცოდნა აუცილებელია პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშოს სამეცნიერო ხელმძღვნელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვები, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს და ასახავს პროგრმის სპეციფიკას საუკეთესო საერთაშიროს პარქტიკას. რაც შეეხება მეორო პროგრამას "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში" რეკომენდებულია გადაიხედოს პირველი მიზანი უფრო კონკრეტული და ზუსტი ფორმულირებისათვის, ასევე მეტი სიცხადისთვის შესაძლებლია მათი ორნაწილად გაყოფა. რეკომენდებულია მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული ფინანსების დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს უფრო კონკრეტული მიზანი, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ფინანსების სფეროში განვითარების ძირითად მიმართულებას. რეკო მენდებულია გაფართოვდეს ფინტექსის თემები, ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტების და გადაწყვეტილების მიღებაში ხელოვნული ინტელექტის გამოყენება, რათა უკეთ მოემზადონ კურსდამთავრებულები თანამედროვე გამოწვევისათვის. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს პროფესიული პრაქტიკა სულ მცირე ხუთი კრედიტის ოდენობით, რათა შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს ახალი სავალდებულო სასწავლო კურსები რომელიც სტუდენტს მისცემს ფინანსური ინსტიტუტების სიღრმისეულ ცოდნას, არჩევით სასწავლო კურსების კომპონენტებიდან რამოდენიმე სასწავლო კურსი შესაძლებლაი გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო

კომპონენტში, მაგალითად, ,,კომერციული საბანკო საქმე''. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის, როგორიც არის ,,თანამედროვე ფინანსების შესავალი'', ,,ფინანსური აღრიცხვა'', ,,საერთაშორისო აღრიცხვა და გლობალური საერთაშორისო აღრიცხვა'' შინაარსის გადახედვა, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს და ამ კურსების სწავლის შედეგებიც საჭიროებს გადახედვას რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურთან. რეკომენდებულია სილაბუსებს დაემატოს, დეტალური ინფორმაცია, საბოლოო პროექტების შინაარსის შესახებ. სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია, პროექტის შერჩევის სტუდენტის კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და მსგავსი საკითხების შესახებ. „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაციები, კერძოდ რეკომენდებულია გადაიხედოს პირველი მიზანი ან მეტი სიცხადისათის დაიყოს რამდენიმე მიზნად. რეკომენდებულია, მეორე მიზნის ფორმულირება გადაიხედოს, „თანამედროვე, ადგილობრივი ან გლობალური მართველობითი გამოწვევა და გაანალიზება და გადაჭრა“, იმისათვის რომ უფრო მკაფიოდ განისაზღვროს გამოწვევის სახეები და მათი გადაჭრის გზები. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს, სპეციფიკური მიზანი, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას, განავითაროს ციფრული ეპოქისთვის საჭირო უნარები ვინაიდან, აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვან ასპექტს და აუცილებელია ბიზნესის აღმასრულებლებისთვის. რეკომენდებულიაგადაიხედოს პირველი სწავლის შედეგი, „კრიტიკულად აანალიზებს მენეჯმენტის პროცესს და პრინციპებს, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, რისკების და კრიზისების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვადასხვა ლიდერობის სტილი" და იგი გახდეს უფრო რეალისტური და გაზომვადი. რეკომენდებულია, შესაბამისობაშ მოვიდეს სათაურები და სასწავლო მიზნები, გარკვეული სასწავლო კურსების შემთხვევაში (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია). რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსის შინაარსი ხელს უწყობდეს მათ მიღწევას. ასევე, რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია, მსოფლიო დონის ადამიანური რესურსების განვითარება) სასწავლო მასალასთან თანხვედრის უზრუნველყოფის და სილაბუსებში მითითებული თემების დაფარვის მიზნით. და ბოლო რეკომდაცია, სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია, პროექტის შერჩევის სტუდენტის კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და მსგავსი საკითხების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ლევან გურგენიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპეტებს გაწეული შრომისათვის. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახალია ბაზარზე, შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანია ახალი პროგრამების დამატება რათა მოხდეს დაწესებულების განვითარება. ასევე აღნიშნა, რომ საბოლოო ჯამში დასკვნა არის ძალიან პოზიტიური და დადებითი, გაცემული რეკომენდაციების ნაწილის გაზიარების შესაძლებლობა აქვს დაწესებულებას, თუმცა არის რიგი რეკომენდაცები რომლებზედაც დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია, თუ რატომ ვერ მოახერხებს მათ გაზიარებას. კლასტერის საერთო რეკომენდაცია, კომპონენტი 1.1. რეკომენდებულია უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ როგორ ითვალისწინებს პროგრამის მიზნები ინტერნაციონალიზაციას. როგორც ექსპერტები დასკვნაში ასახავენ, სამივე პროგრამა შეესაბამება 1.1. კომპონენტის მოთხოვნებს, ამისდა მიუხედავად სასარგებლო იქნებოდა რეკომენდაციის განსაზღვრა, დაწესებულება მიიჩნევს, რომ მიუხედავად, იმისა რომ მიზნებში რეკომედაცია ნათლად არის ასახული, თავისი

შინაარსით შესაძლებელია იყოს რჩევა, თუმცა შესაძლებელია ინტერნაციონალიზაციის ასპექტების ასახვა და კიდევ უფრო მეტად წარმოჩენა. მიაჩნია უნივერსიტეტს, რომ ინტერნაციონალიზაცია მათი ძლიერი მხარეა და მიუთითებს გლობალური სტაჟრების პროგრამაზე, რომლითაც ეძლევათ სტუდენტებს შესაძლებლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიარონ სტაჟირება. შემდეგი რეკომენდაციაც ასევე უკავშირდება, კომონენტ 1.1-ს, როემლიც ეხება ყველა პროგრამის მიზანს, რომ უფორ კონკრეტულად აღიწეროს მათი წვლილი შესაბამის დარგებში და საქართველოს საზოგადეობეის განვითარებაში. უნივერსიტეტის წარმოდმეგენელს მიაჩნია, რომ სამივე პროგრამაში არსებობს კონკრეტული ჩანაწერები, რომელიც ეხმიანება ექსპერტების მოსაზრებას, მაგალითად, საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამაში, მე-2 და მე-3 მიზანი სწორედ ამ ნაწილს ეხმიანება. ხოლო რაც შეეხება ფინანსებისა და მენეჯმენტის პროგრამებს, ორივე პროგრამის მე-3 მიზანი სწორედ რომ ექსპერტების მიერ დასახელებულ საკითხს ეხმიანება სწორხაზოვნად. გამომდინარე აქედან, დაწესებულება ვერ გაიზიარებს დასახელებულ რეკომენდაციას.

„ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში“ მიმართებით გაცემული იყო ასევე რეკომენდაცია, რომ მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული ფინანსების დარგში საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი, აღნიშნა, რომ მოცმეული რეკომენდაცია ეხმიანება კლასტერისთვის განსაზღვრულ მეორე რეკომენდაციას, და ფაქტობრივად საერთო რეკომენდაციათ შეიძლება იქნეს განხილული, და როგორც უკვე აღინიშნა, მესამე მიზანი სრულად ასახავს ექსპრეტების მიერ ასახულ რეკოემდაციის შინაარსს, შესაბამისად ვერ გაიზიარებს დაწესებულება მას. რაც შეეხება იმავე კომპონენტის კიდევ ერთ რეკოემდაციას, რომ უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ რეკომენდაციასაც ვერ გაიზიარებს დაწესებულება, ვინაიდან პროგრამის მეორე მიზანი სწორედ ამ მიმართულებას ეხმიანება. ფინანსების პროგრამაში 1.2. კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასაც ვერ გაიზიარებს დაწესებულება რადგან პროგრამაში არის საგანი ფინანსური ტექნოლოგიები, ფინტეკი და ინოვაციები, როემლებიც სწორედ იმ თემატიკას მოიცავს რაც ჩამოთვლილია რეკომენდაციაში, მით უფრო იმ პირობებში როდესაც აღნიშნული კურსი არის სავალდებულო და აღნიშნულ სილაბუსს იცნობენ ექსპერტებიც. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნია რომ გაცემული რეკომენდაციის დატოვება გაქარწყლებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ლობჟანიძემ 1.4. კომპონეტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია, პრაქტიკის კომპონენტის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ პროგრამების შემუშავებისას გზამკვლევი დაწესებულებისათვის იყო დარგობრივი მახასიათებელები შესაბამისი მიმართულებით, ასევე საგულისხმოა რომ ფინანსების მიმართულებით დარგობრივ მახასითებლის დამტკიცება მოხდა 2023 წელს, ხოლო უშუალოდ აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების შესაძლებლობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა 2024 წლის დასაწყისიდან. ნინო ლობჟანიძემ დაამატა, რომ აღმასრულებელი ბიქნესის ადმინისტრირების პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი დაშვების კომპონენტი ხუთწლიანი სავალდებულო გამოცდილება, სწორედ აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი პროგრამის უნიკალური ხასიათი გვიქმნის იმის საფუძველს, რომ კლასიკური 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებული მიდგომები შემოვიტანოთ. ასეევ საგულისხმოა, რომ პროგრამაში შემოტანილია პროექტის კომპონენტი ექვსი კრედიტის ოდენობოთ, რომელთან დაკავშირებითაც შემუშვებულია შესაბამისი გზამკვლევი, სადაც აღნიშნულია რომ პროექტი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილებს და ამ შემთხვევაში პრაქტიკის ნაწილი უნდა გაძლიერდეს სტაჟირებაზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკით, რაც უკვე არსებობს კლასიკურ სამაგისტრო პროგრამაში. ასევე საგულისხმოა, რომ ხუთწლიანი გამოცდილებით უნდა მოვიდნენს სტუდენტები და შესაბამისი აკადემიური ფორმატის დაცვით გამოცდილება გააზიარონ და წარმოადგინონ პროექტის სახით. თუ მაგისტრანტს ექნება

სურვილი განსხვავებული სტაჟირება გაიარონ და ამაზე დაფუძნებით იმუშაოს პროექტზე, უნივერსიტეტი გამოიყენებს არსებულ შესაძლებლობას, არაერთი ქვეყანა და კომპანიაა საზღვარგარეთ და ასევე ადგილობრივი დონეზე, რომელთანაც დადებულია მემორანდუმები და მოხდება მაგისტრანტების სტაჟირებაზე გადანაწილება. რაც შეეხება შემდგომ რეკომენდაციას, ფინანსებთან მიმართებით, ახალი სასწავლო კურსების დამატებასთან დაკავშირებით სადაც ყურადღება გამახვილებულია მიზნებთან შესაბამისობაზე, აღნიშნა, რომ ფინანსური ინსტიტუტები წარმოდგენილი არ არის ამგვარი დასახელებით, თუმცა თითოეულ რეკომენდაციაზე იმუშავა დაწესებულებამ და ამ ნაწილშიც გადახედილი იყო ფინანსების თითოეულ სასწავლო კურსი, და გამოსაკვეთია ორი სასწავლო კურსი, კერძოდ ერთი ეს არის ,,საერთაშორისო ფინანსები'' და ,,გლობალური ფინანსურ ბაზრები'' სადაც უშუალოდ ჩაშლილია ის კომპონენტები, რომელიც მოიცავს ფინანსურ ინსტიტუტებს და ბაზრებს და მათ შორის ურთიერთქმედებას, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშოირო ბაზრებს. ასევე ფინანსური აღიცხვის კურსიც შეესაბამება მოცემულ საკითხს. ორივე პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო იდენტური რეკომენდაცია, პროექტის სილაბუსში ინტეგირება, დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და მისი შესრულებისათვის უკვე განხორციელებულია შესაბამისი ქმედებები. 1.1 კომპონენტის რეკომენდაცია, გადაიხედოს მეორე მიზნის ფორმულირება, „თანამედროვე ადგილობრივი ან გლობალური მმართველობითი გამოწვევების გაანალიზება და გადაჭრა", ექსპერტება ურჩიეს დაწესებულებას, რომ უკეთ ჩაიშალოს მიზანი. დაწესებულებას მიაჩნია, რომ მიზნებში დეტალური ჩაშლა, გლობალურ გარემოში არსებული გამოწვევისა, უფრო კომპლექსურს გახდიდა მიზანს, შესაბამისად დაწესებულებამ არ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია, ვინაიდან მიაჩნია, რომ თითოეული კურსის აღწერაში დეტალურად არის თითოეული გამოწვევა აღწერილი და ჩაშლილი. ,,რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სპეციფიკური მიზანი, რომელიც ასახავს პროგრამის ორიეტაციას განავითაროს ციფრული ეპოქისათვის საჭირო ლიდერობის უნარები, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე მენეჯმენტის განათლების მნიშვნელოვან ასპექტს და დამახასიათებელია ბიზნესის აღმასრულებელისათვის'' - დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ რეკომედაციას, თუმცა ასაბუთებს რატომ ვერ იქნება მიზნები შეცვლილი, ნინო ლობჟანიძე მიუთითებს პროგრამის მეორე მიზანზე და მიიჩნევს რომ მოიცავს მიზანი რეკომედაციის შინაარსს, მეორე მიზანი გულისხმობს, რომ ,,საჭირო პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების გამომუშავება და განვითარება თანამედროვე ლოკალური თუ გლობალური მენეჯერული გამოწვევების გასაანალიზებლად და გადასაჭრელად, მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე ციფრული ეპოქის შესაბამისი უახლესი ტექნოლოგიებისა და ინივაციების გამოყენებით''.

შემდგომი, რეკომენდაცია ეხებოდა მენეჯმენტის პროგრამას, რეკომენდებულია გადაიხედოს პირველი სწავლის შედეგი. აღნიშნა, რომ ეთანხმება დაწესებულება გაცემულ რეკომენდაციას და მოცემული დროისათვის ახალი მიზანი უკვე შემუშავებულია, რომელიც უფრო მეტად გაზომვადი იქნება. კომპონენეტი 1.5. ეხებოდა გარკვეული კურსების შესაბამისობას ჩაშლილ ლიტერატურასთან და მიზნებთან. ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ გადახედა დაწესებულებამ მითითებულ კურსებს, თითოეულ კვირასა და შერჩეულ სახელმძღვანელოს და ცალსახაა, რომ ზუსტად მიყვება ჩაშლილი კვირეების თემატიკა სახელმძღვანელოების შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან გურგენიძემ კლასტერის საერთო რეკომენდაციებიდან კომპონენტი 4.1-თან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემული იყო ოთხი რეკომენდაცია, პრაქტიკულად ერთი კონტექსის გათვალისწინებით და ეხებოდა პროფესორების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას, განაცხადა, რომ დაწესებულება ახალგაზრდა ინსტიტუციაა, მეხუთე წელი დაიწყო რაც საგანმანათლებლო სივრცეში ოპერირებს და ცხადია, პრიორიტეტია მაღალი აკადემიური ხარისხი მქონე პერსონალის მოზიდვა, რასაც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება დაწესებულება. აკრედიტაციის

პერიოდში მოხდა აკადემიური პერსონალით პროგრამების შევსება და მოწვეულთან შედარებით უპირატესია თითეულ პროგრამაზე აკადემიური პერსონალი, ასევე ამ მიმართულებით ხორციელდება სამუშაოები.
სოფიო მშვიდობაძემ, 1.3. კომპონენტის კლასტერულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლიც ეხებოდა დაწესებულების მიერ ცენტრალიზებული ჩარჩოს შემუშავებას სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების დახვეწის მიზნით, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი არის სამიზნე ნიშნულები, რომელთან თავსებადობასაც თავად ექსპრეტები ადასტურებენ, თუმცა მიაჩნია, რომ ექსპერტების მოცემული პოზიცია დაეფუძვნა დასკვნაში განვითარებულ მსჯელობას, სადაც საუბარია სწავლის შედეგების შეფასების გამოყენებაზე, აღნიშნა, რომ გასათვალისიწინებელია ფაქტორი, რომ ორი პროგრამა არის ახალი პროგრამა, ხოლო ერთი პროგრამა მოქმედებს ორი წელია, შესაბამისად დროის ჩარჩოს გათვალისწინებით დაწესებულება ფიზიკუად ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების წარმოდგენას. რაც შეეხება რეკომენდაციის იმ ნაწილს, სადაც მოთხოვნილია ცენტრალიზებული დოკუმენტის წარმოდგენა, ვერ დაეთანხმება დაწესებულება, ვინაიდან სააკრედიტაციო განაცხადის მასალებში წარმოდგენილი იყო მსგავსი დოკუმენტი, დასახელებით ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი'', რომელიც მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგების მექანიზმებს. შესაბამისად, იგი სრულად მოიცავს ექსპერტების რეკომენდაციის შინაარსს. მან დაამატა, რომ დაწესებულებას თითოეულ პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შესაბამისად, ინსტიტუციას მიაჩნია, რომ აღნიშნული არ უნდა იყოს წარმოდგენილი რეკომენდაციის სახით. ხოლო მისი რჩევებში გადატანის შემთხვევაში უნივერსიტეტის გუნდი იფიქრებს კიდევ საკითხის გაუმჯობესებაზე.
რაც შეეხება 4.2. კომპონენტს, რომელშიც საჯარო პოლიტიკა და მმართველობასთან მიმართებით იყო რეკომენდაცია გაცემული და ეხებოდა, ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, აღნიშნა სოფიო მშვიდობაძემ, რომ ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა თავისი პოზიცია. ასევე, აღნიშნა, რომ კიდევ უფრო მეტად როგორ შეიძლება დაკონკრეტდეს მითითებული საკითხები, ვინაიდან შესწავლილი იქნა სხვა უნივერსიტეტების იდენტური ფაქტობრივი გარემოებები და მიაჩნიათ, რომ რადიკალური განსხვავებება არ იძებება. ასევე გამოთქვა მზაობა, კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, აღნიშნა, რომ ექსპერეტებსაც მითითებული ჰქონდა რომ დაშვების წინაპირობები იყო დასაზუსტებელი. მას აინტერესებდა რა იყო დაშვების წინაპირობები გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა. ასევე მას კითხვა ჰქონდა მენეჯმენტის აღმასრულებელ პროგრამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი და კონკურენტული უპირატესობა, ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო ლიტერტურა, რომელიც შეესაბამება ბაკალავრის დონეს, შესაბამისად ეს ნაწილიც იქნებოდა გასასწორებელი. ასევე აღნიშნა, რომ საჯარო პოლიტიკა და მართველობის სამაგისტრო პროგრამას უნდა მიენიჭოს 0413 კოდი, შესაბამისად აუცილებელია დამატებული იქნას ,,სტრატეგიული მენეჯმენტის'' კურსი მეორე დონისათვის, რომელიც საკანონმდებლო სავალდებულო მოთხოვნაა. შესაბამიასდ, მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.
ნინო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მიღების კრიტერიუმებზე იმუშავა და შეიმუშავა. კერძოდ, სარეგისტრაციო ფორმის შევსება, რა დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი, ასევე მოცემული კომისიის შემადგენლობა, ასევე მეორე ეტაპია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა რომელიც ორად არის გაყოფილი, ინგლისური ენის და პროფესიულ გასაუბრების ნაწილი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ასევე მოცემულია გასაჩივრების

შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სხვა დაწესებულების პრაქტიკა ამ ნაწილში. რაც შეეხება ,,ფინანსური მენეჯმენტი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება'' სასწავლო კურსს, დაწესებულება იზიარებს საბჭოს წევრის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც პროგრამა დაიწყებს განხორციელებას და იქნება პირველადი შედეგები განსაკუთებული ყურადრება გამახვილდება იმ კურსებზე, როემლზედაც აღინიშნა, რომ შესაძლებელია იყოს მათში ცვლილებების შეტანის საჭიროება.
თემურ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის მოსაზრებები გასათვალისწინებელია პროგრამის მიმდინარეობისას. რაც შეეხება ,,ფინანსური მენეჯმენტის'' კურსს იქნება გადახედილი რომ უფრო მეტად შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის მოთხოვნებთან. თამარ კეკენაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად მიიჩნიეს რომ სტრატეგიული კომპონენტი გადანაწილებული ყოფილყო სხვდასხვა კურსებში, თუმცა რადგან არსებობს საბჭოს წევრის ამგვარი რეკომედაცია კიდევ ერთხელ მოხდება გადახედვა და გათვალისწინება. საბჭოს თავმჯდომარეს თამარ ლომინაძეს კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან პირველ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების გაძლიერებას, მას აინტერესებდა რა გახდა გაცემული რეკომენდაციის საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გადახედეს ექსპერტებმა საჯარო პოლიტიკის ძირითად აქცენტებს და ძირითადად წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ფოკუსით, ასევე არსებობდა გლობალური ქეისებიც, თუმცა უფრო გასამდიდრებლად უმჯობესი იქნებოდა ასევე წარმოდგენილი იყოს საერთაშირისო აქცენტით პროგრამები. ეს საკითხი უმეტესწილად ეხება აღმასრულებელ პროგრამებს და აღნიშნა მან, რომ საერთაშორისო ,,ბენჩმარკები'' ამასთან დაკავშირებით არსებობდა და საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც რეკომენდებულია რომ აისახოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან გურგენიძემ აღნიშნა რომ მუშაობენ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე მიუხედავად იმისა, რომ მიაჩნიათ, რომ ეს მხარე არის დაწესებულების ძლიერ მხარე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:43
დასრულების დრო: 19:07

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „საჯარო პოლიტიკა და მმართველობის" სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში საჯარო პოლიტიკა და მმართველობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში “ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში” აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში “ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ფინანსებში” მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მენეჯმენტში" აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 21 თებერვლამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მენეჯმენტში" მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიო მშვიდობაძემ იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღით. ასევე, დააზუსტა ტექნიკური საკითხი და აღნიშნა, რომ დასკვნის 56 გვერდზე 2.1. კომპონენტში მითითებულია, „მეტწილი შესაბამისობა’’ თუმცა არ იყო რეკომენდაციები გაცემული და ითხოვა საბოლოო დასკვნაში რომ ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და მიეთითოს ,,სრულად შესაბამისი’’.
საბჭომ დააკმაყოფილა დაყენებული შუამდგომლობები.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:09 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ